10/11/2026

MES 2 26 0001639587

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 27 ოქტომბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=89854127679
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **მარიამ სულთანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ნათია გვირჯიშვილი - პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
დიანა გახარია - პროფესიული განათლების დეპარტამენტის წარმომადგენელი

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო ქიტიაშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
ალექსანდრე რუხაძე
დავით კუპატაძე
ზურაბ მესხიძე
მანანა მოისწრაფიშვილი
ლელა მაისურაძე
თინა მეფარიშვილი
ირმა მეგრელიძე
ზაირა ბერიძე
ბესარიონ ორმოცაძე
ზაირა ბერიძე
ბექარ კილასონია

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა
ნათელა კოჭლამაზაშვილი - სკოლის დირექტორი
თამარ გიგაური - კოორდინატორი
ეკატერინე უშიკიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
ბადრი ჟიჟიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლა
მანანა ლაცაბიძე - სკოლის დირექტორი
ნონა ტეფნაძე - სასწავლო პროცესის კოორდინატორი
ხათუნა გოგალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი
ხატია თედეშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლა
ნინო ზედგინიძე - სკოლის დირექტორი
ლია ინასარიძე - დაწესებულების წარმომადგენელი

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა

ონისე ცქიტიშვილი - სკოლის დირექტორი
მაია შენგელია - კოორდინატორი

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლა
ლალი კომლაძე - სკოლის დირექტორი
სოფიო აბრამიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
ნინო მეცხვარიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
ნათია ზაქაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
ინგა გულიაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლა
გელა მაჭარაშვილი - სკოლის დირექტორის მ/შ
ეკა მოსიაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
მანანა ტაბატაძე - დაწესებულების წარმომადგენელი
ხათუნა მაჭარაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
მერი დვალი - დაწესებულების წარმომადგენელი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლა
მზიური შავაძე - სკოლის დირექტორი
ვახტანგ ტაკიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ნანა ლეჟავა - პროგრამის კოორდინატორი
ნარგიზ კახაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლა
თეონა ადეიშვილი - დირექტორი
ნათია ჩხაიძე - პროფესიული განათლების კოორდინატორი
ნინო სანიკიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი

სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლა
ნატო შამილიშვილი - სკოლის დირექტორი
სოფო მოწყობილი - ხარისხის მენეჯერი

სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლა
ნარგიზ ჯინჭარაძე სკოლის - დირექტორი
ნინო ქათამაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი
ნიკა კაკალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
თამარ გოგიტიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა
ცისანა ბარამიძე - სკოლის დირექტორი
იამზე აბუსელიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კორდინატორი
ლელა ქოქოლაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა
სერგო ხოზრევანიძე - დირექტორი
თამილა ბაგრატიონი - დირექტორის მოადგილე

სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა
გულნაზ კარანაძე - სკოლის დირექტორი
ელენე ბათაძე - დაწესებულების წარმომადგენელი
დიანა ბერიძე - დაწესებულების წარმომადგენელი

სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა
ნუნუ სილაგავა - სკოლის დირექტორი
ნონა ცაავა - დაწესებულების წარმომადგენელი
თამარ გულორდავა - დაწესებულების წარმომადგენელი
გია ბასილაია - დაწესებულების წარმომადგენელი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

11. სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.
შუამდგომლობა წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა დღის წესრიგის საკითხების გადანაცვლებას. ექსპერტ მანანა მოისწრაფიშვილის საპატიო მიზეზის გათვალისწინებით, მან ითხოვა, რომ მის მიერ განსახილველი რიგით მე-5 და მე-6 საკითხები განხილულიყო პირველ და მეორე საკითხებად. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ჰქონდათ თუ არა თანხმობა აღნიშნულზე. მათ დაადასტურეს, რომ წინააღმდეგი არავინ იყო.

განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

13. სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N 1205862 - 11/09/2026 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2026 წლის 23 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში (მის: საჩხერე, სოფელი სავანე). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანური და მატერიალური რესურსების პროფესიული პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით, შეფასდა სკოლის მიერ გაწეული სამუშაოები, პროგრამის განხორციელების პროცესი, მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გამოყენების ფაქტობრივი გარემოება, საზოგადოდ სასწავლო გარემო, ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა. სკოლა

ავტორიზებულია 2023 წლიდან და მიმდინარე ეტაპზე ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს და ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ავტორიზაციის შედეგად სკოლის მოსწავლეთა ზღვრული ნორმაა - 500 მოსწავლე, ხოლო პროფესიული სწავლებისთვის 24 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუების შედეგებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გამოვლენილა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1. სასურველია საჯარო სკოლამ პროფესიული განათლების მიმართულებით აიყვანოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალისა და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით, ორგანიზაციული სტრუქტურა, პერსონალის შერჩევა და მართვის პროცესები მოწესრიგებულია კანონმდებლობისა და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცდა „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, აგრეთვე „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“. აღნიშნული დოკუმენტებით განისაზღვრა პროფესიული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი პოზიციების ფუნქციები და კვალიფიკაციები (მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის ორგანიზატორი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფორიენტაციის კოორდინატორი).

ვინაიდან პირველადი რეგულაციებით განსაზღვრული სტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფდა დამხმარე და ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილ განხორციელებას, სკოლამ შეიმუშავა და განახორციელა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დირექტორის №2-147 (21.09.2026) ბრძანებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა შემდეგი:

სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის სამუშაო აღწერილობები და ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი, ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (ხარისხის მართვის მენეჯერის) მიზანია სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური შეფასება, ხოლო არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები და ფუნქციათა განაწილება სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს ამ მიმართულებით.

დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურაში რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პოზიცია ამჟამად ვაკანტურია და მის მოვალეობას სკოლის დირექტორის მოადგილე ითავსებს. მიუხედავად იმისა, რომ მცირე კონტიგენტის პირობებში პირი წარმატებით უმკლავდება

აღნიშნულ ფუნქციას ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით და რეკომენდაციით, სასურველია საჯარო სკოლამ პროფესიული მიმართულებით ცალკე საშტატო ერთეულად აიყვანოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.
პერსონალის შერჩევა მიმდინარეობს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით (გასაუბრების გზით, სამომავლოდ კი საჯარო კონკურსების დაგეგმვით). პერსონალის პირველ საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა 2025 წლის 25-27 აგვისტოს გაიარეს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიებსა და მექანიზმებში.
სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რასაც ადასტურებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, სამუშაო შეხვედრები და კოლეგიალური გადაწყვეტილებები.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსით

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, ადამიანური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები სრულად შეესაბამება დაწესებულების წინაშე არსებულ მოთხოვნებსა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.
პროგრამა ხორციელდება შესაბამის იმიტირებულ გარემოში. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სივრცეები/აუდიტორიები (მათ შორის ინტეგრირებული სწავლების აუდიტორია), რომლებიც აღჭურვილია საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილი ინვენტარითა და ტექნიკით ორი ნაკადისთვის (სულ 24 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობისთვის). მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლამ სრულად უზრუნველყო მატერიალური რესურსების შეძენა და ფლობა (რაც ეფუძნება საჩხერის მუნიციპალიტეტის ბრძანებებს ქონების გადმოცემის შესახებ). დამატებით გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტი და სპორტული დარბაზი, რომელთა საათობრივი დატვირთვის სქემები ადასტურებს რესურსის საკმარისობას.
პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრულია სულ 13 მასწავლებელი (4 დარგობრივი და 9 ინტეგრირებული/ზოგადი). მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმებს (შრომის კოდექსისა და მინისტრის #108/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, სადაც სრული დატვირთვა განსაზღვრულია 25 საათით, ხოლო ინტეგრირებული მოდულები დაგეგმილია კვირაში 3-4 საათიანი დატვირთვით). მასწავლებელთა რაოდენობა და განაწილება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
მასწავლებელთა პირადი საქმეები სრულყოფილია და ადასტურებს მათ შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებს აქვთ საგნობრივი კომპეტენცია და სწავლების გამოცდილება, ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს — შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. გარდა ამისა, ყველა მასწავლებელმა და პროგრამის ხელმძღვანელმა გაიარა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით.
პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის, დიპლომისა და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. მისი ფუნქციები მოიცავს პროგრამის ადმინისტრირებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციასა და პერსონალის განვითარების პროცესებში ჩართულობას.

მოდულებში მითითებული ლიტერატურა და სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური სახით სკოლის ბიბლიოთეკაში, ისე ელექტრონულად (ბიბლიოთეკის კომპიუტერებსა და ელექტრონულ მატარებლებზე მიწოდებით). რესურსები სისტემატურად განახლდება და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
დაწესებულებაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ (მუხლი 71) შესაბამისად, შექმნილია ინკლუზიური გარემო. სსსმ პირთათვის საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და უზრუნველყოფილია ადაპტირებული რესურსებით წვდომა.
„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს შემოსავლების (ვაუჩერი) და ხარჯების (მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეული) სრულ კალკულაციას. არსებული ბიუჯეტი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სტაბილურ და მდგრად განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნის მე-14 გვერდზე მატერიალური რესურსის გადაცემის ბრძანების ჩამონათვალში ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტის ადრესატად მითითებულია კორბოულის მეორე საჯარო სკოლა, მაშინ როდესაც შემოწმება სავანის საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა. მან იკითხა, წარმოადგენდა თუ არა ეს ფაქტი მექანიკურ შეცდომას, თუ სამართლებრივი გადაცემა რეალურადაც ამ ფორმით განხორციელდა.
ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ტექნიკური, მექანიკური შეცდომაა. მისი თქმით, საჩხერის მუნიციპალიტეტმა რესურსები ორივე სკოლისთვის ერთიანი ნომრებით გამოყო და გადასცა, ვინაიდან თავად ორივე საგანმანათლებლო დაწესებულების (კორბოულის მე-2 და სავანის სკოლების) შემოწმებაში მონაწილეობდა, დოკუმენტის შედგენისას ტექსტის იდენტური ნომრებით კოპირება მოხდა. მან დააზუსტა, რომ სკოლებს განსხვავებული დანართები აქვთ კორბოულის სკოლას გრაფიკული დიზაინის მასალები გადაეცა, ხოლო სავანის სკოლას კომპიუტერული ქსელების ინვენტარი. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა (ბატონმა ზურაბმა და ქალბატონმა ლელამ) დეტალურად გადაამოწმა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარე, ასევე, დაინტერესდა დასკვნაში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციით, რომელიც რეესტრის მწარმოებლის ცალკე საშტატო ერთეულის შემოღებას ეხებოდა, ხომ არ შეაფერხებდა სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვას დირექტორის მოადგილის მიერ აღნიშნული ფუნქციის შეთავსება იმ პირობებში, როდესაც სკოლაში 500 მოსწავლე და დამატებით პროფესიული სტუდენტები ირიცხებიან.
ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია სწორედ განმავითარებელი ხასიათისაა და არა ხარვეზი, ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლა სრული დატვირთვით არ ფუნქციონირებს. კერძოდ, სკოლაში ირიცხება მხოლოდ 217 მოსწავლე, ხოლო პროფესიულ მიმართულებაზე, სადაც მხოლოდ ერთი პროგრამა ხორციელდება, გამოყოფილი 24 კვოტიდან მხოლოდ 15 სტუდენტი სწავლობს. გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანა და 15 სტუდენტის აღრიცხვა მცირე დატვირთვას მოითხოვს, არსებულ ეტაპზე ფუნქციათა შეთავსება დასაშვებია. მან აგრეთვე დასძინა, რომ კონტინგენტისა და პროგრამების ზრდის შემთხვევაში ცალკე შტატის არსებობა სავალდებულო გახდება, თუმცა რეგიონის სკოლებისთვის დამატებით სირთულეს კვალიფიციური კადრების მოძიების მწვავე პრობლემაც წარმოადგენს.
საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა ინფორმაციის მიღება და განმარტა, რომ მისი დაინტერესება გამოწვეული იყო დოკუმენტში მითითებული 500 დამსწრიანი კვოტით, რადგან რეალური კონტინგენტის (217 მოსწავლის) გათვალისწინებით რისკები დღის წესრიგში აღარ დგას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში (ს/კ: 239404006) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეორე საკითხი: სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1235757- 15/09/2026 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორიგის ვიზიტი სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის

დებულების“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2026 წლის 22 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლაში (მის: საჩხერე, სოფელი სოფელი კორბოული მე-4 ქუჩა.). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანური და მატერიალური რესურსების პროფესიული პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით, შეფასდა სკოლის მიერ გაწეული სამუშაოები, პროგრამის განხორციელების პროცესი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ფაქტობრივი გარემოება, საზოგადოდ სასწავლო გარემო, ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა. სკოლა ავტორიზებულია 2023 წლიდან და მიმდინარე ეტაპზე ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს და ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ავტორიზაციის შედეგად სკოლის მოსწავლეთა ზღვრული ნორმაა - 500 მოსწავლე, ხოლო პროფესიული სწავლებისთვის 30 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუების შედეგებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გამოვლენილა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალისა და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით, ორგანიზაციული სტრუქტურა, პერსონალის შერჩევა და მართვის პროცესები მოწესრიგებულია კანონმდებლობისა და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №2-31 ბრძანებით დამტკიცდა „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, აგრეთვე „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“. აღნიშნული დოკუმენტებით განისაზღვრა პროფესიული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი პოზიციების ფუნქციები და კვალიფიკაციები (მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის ორგანიზატორი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფორიენტაციის კოორდინატორი).

ვინაიდან პირველადი რეგულაციებით განსაზღვრული სტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფდა დამხმარე და ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილ განხორციელებას, სკოლამ შეიმუშავა და განახორციელა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №2-33 ბრძანებით). მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დირექტორის №2-36 (26.06.2026) ბრძანებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა შემდეგი:

სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის სამუშაო აღწერილობები და ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი, ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.
ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (ხარისხის მართვის მენეჯერის) მიზანია სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური შეფასება, ხოლო არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები და ფუნქციათა განაწილება სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს ამ მიმართულებით.
პერსონალის შერჩევა მიმდინარეობს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით (გასაუბრების გზით, სამომავლოდ კი საჯარო კონკურსების დაგეგმვით). პერსონალის პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გაიარეს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიებში, ხოლო დამატებით მიმდინარეობს მასწავლებელთა სიების გადაცემა შეფასებისა და დოკუმენტაციის წარმოების ტრენინგების ორგანიზებისთვის.
სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რასაც ადასტურებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, სამუშაო შეხვედრები, შესაბამისი სამუშაო ჯგუფების შექმნა და კოლეგიალური გადაწყვეტილებები.

2. საგანმანათლებლო პროგრამები
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი
2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსით

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, ადამიანური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები სრულად შეესაბამება დაწესებულების წინაშე არსებულ მოთხოვნებსა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.
პროგრამა ხორციელდება შესაბამის იმიტირებულ გარემოში. გამოყოფილია A/B სწავლების იმიტირებული გარემო და ინტეგრირებული სწავლების აუდიტორია (თითოეული 15-15 სტუდენტისთვის და 1 მასწავლებლისთვის), სადაც სწავლება მიმდინარეობს ორი მიღების ფარგლებში (სულ 30 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობისთვის). მატერიალური რესურსი სრულად არის შეძენილი და ფლობაშია (რაც დასტურდება საჩხერის მუნიციპალიტეტის ბრძანებებითა და 2026 წლის მარტში განხორციელებული შესყიდვებით: პრინტერები, მოლბერტები, სახატავი დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, ინტერაქტიული ეკრანები, სპორტული ინვენტარი და ა.შ.). დამატებითი სივრცეების (საბუნებისმეტყველო კაბინეტი და სპორტული დარბაზი) გამტარუნარიანობა და საათობრივი დატვირთვა სრულად დასტურდება წარმოდგენილი სქემებითა და ინტერვიუებით.
პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრულია სულ 19 მასწავლებელი (8 დარგობრივი, 10 ინტეგრირებული და 2 ზოგადი). მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმებს (შრომის კოდექსისა და მინისტრის №108/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, სადაც სრული დატვირთვაა 25 საათი, ხოლო ინტეგრირებული მოდულები დაგეგმილია კვირაში 3-4 საათიანი დატვირთვით). მასწავლებელთა რაოდენობა და განაწილება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
მასწავლებელთა პირადი საქმეები სრულყოფილია და ადასტურებს მათ შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №2-32 და 2026 წლის 14 სექტემბრის №2-72 ბრძანებებით). ყველა განმახორციელებელმა და პროგრამის ხელმძღვანელმა გაიარა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების

მიმართულებით, ხოლო დამატებით მიმდინარეობს სიების გადაცემა შეფასებისა და დოკუმენტაციის წარმოების ტრენინგების ორგანიზებისთვის.
პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის, დიპლომისა და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად მოდულის განმახორციელებელია. მისი ფუნქციები მოიცავს პროგრამის ადმინისტრირებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციასა და პერსონალის განვითარების პროცესებში ჩართულობას (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით).
მოდულებში მითითებული ლიტერატურა და სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური სახით სკოლის ბიბლიოთეკაში, ისე ელექტრონულად (ბიბლიოთეკის კომპიუტერებსა და ელექტრონულ მატარებლებზე მიწოდებით).
დაწესებულებაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ (მუხლი 71) შესაბამისად, შექმნილია ინკლუზიური გარემო. სსსმ პირთათვის საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და უზრუნველყოფილია ადაპტირებული რესურსებით წვდომა.
„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს შემოსავლების (ვაუჩერი) და ხარჯების (მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება, მასალა-ნედლეული) სრულ კალკულაციას. არსებული ბიუჯეტი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სტაბილურ და მდგრად განხორციელებას.
დარგობრივი მიმართულების შეფასების მიზნით სიტყვა ექსპერტს გადაეცა. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადგილზე შექმნილია კომფორტული სასწავლო გარემო, რასაც სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრებიც ადასტურებს.
ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა სტუდენტების მაღალი ჩართულობა და მოტივაცია. მისი განმარტებით, გრაფიკული დიზაინის მიმართულების სტუდენტებს მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული საკუთარი პროფესიული ინტერესები, უკვე ფლობენ კონკრეტულ პროგრამულ მოდულებს, გეგმავენ თავისუფალი გრაფიკით (Freelance) საქმიანობას და საკუთარ ნამუშევრებს აქტიურად ათავსებენ საერთაშორისო პლატფორმა Behance-ზე. ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი პორტფოლიოები და შესრულებული სამუშაოები დარგობრივად მაღალი ხარისხისაა.
ამასთანავე, შემოწმების ფარგლებში დარგობრივმა ექსპერტმა დეტალურად შეისწავლა კომპიუტერული ტექნიკა და ინფრასტრუქტურა. მან დაადასტურა, რომ როგორც აპარატურული მახასიათებლები, ისე ოპერაციული სისტემები და პროგრამული უზრუნველყოფა სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. გარდა ამისა, მან დადებითად შეაფასა სასწავლო სივრცის სისუფთავე და მოწესრიგებულობა.
ექსპერტის განცხადებით, სტუდენტების მიერ ნაჩვენები შედეგები და ნამუშევრების ხარისხი პირდაპირ ასახავს პედაგოგების მაღალ პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას, რამაც ადგილზე ჩატარებული შემოწმების პროცესში სრული დადასტურება ჰპოვა.
საბოლოო შეჯამებისას დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამივე ლოკაციაზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგად სრულიად კმაყოფილი დარჩა როგორც ტექნიკური მონაცემებითა და პედაგოგიური რესურსით, ისე სტუდენტთა პროფესიული მომზადების დონით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დარგობრივ ექსპერტს, დაეზუსტებინა ის ფაქტი, რომ დასკვნის მე-14 გვერდზე დეტალურად იყო ჩამოთვლილი სკოლისთვის გადაცემული მატერიალური აღჭურვილობა (კომპიუტერები, მონიტორები, სახატავი დაფები, მოლბერტები), თუმცა გრაფიკული დიზაინის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რამდენად იყო უზრუნველყოფილი დაწესებულება შესაბამისი სპეციალიზებული გრაფიკული პროგრამული პაკეტებით ან მათი ანალოგებით.

დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ კომპიუტერები აღჭურვილია ყველა საჭირო პროგრამით (მათ შორის, Photoshop-ით, Illustrator-ითა და სამომავლო მოდულებისთვის განკუთვნილი სხვა პროგრამებით), რაც ადგილზე გადამოწმდა ეკრანის ანაბეჭდებითა (სქრინებით) და სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოებით. მან ხაზი გაუსვა, რომ ტექნიკა მაღალი სიმძლავრისაა და სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი იყო როგორც ციფრული, ისე უკვე ამობეჭდილი და დასაბეჭდად გამზადებული პროდუქცია. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო ლიტერატურა და დამხმარე რესურსები ხელმისაწვდომი იყო როგორც საბიბლიოთეკო კომპიუტერში, ისე ელექტრონული ბმულების სახით.
საბჭოს თავმჯდომარემ მეორე შეკითხვა დასკვნის მე-15 გვერდზე მითითებულ ჩანაწერთან დაკავშირებით დასვა, სადაც აღნიშნული იყო, რომ 8 დარგობრივ მასწავლებელს გავლილი ჰქონდა პროფესიული უნარების სააგენტოს ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიასა და შეფასებაში. თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად შეისწავლა ექსპერტმა პედაგოგთა პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება და პორტფოლიოები, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისთვის.
დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პირადად გაესაუბრა პროფესიულ მასწავლებლებს და გაეცნო მათ პორტფოლიოებს (მათ შორის, პლატფორმა Behance-ზე). მან აღნიშნა, რომ პედაგოგების მაღალი კვალიფიკაცია თვალსაჩინოდ აისახება სტუდენტების შედეგებზე. ამასთანავე, ექსპერტმა დააზუსტა, რომ შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს; კერძოდ, მან გამოითხოვა და შეამოწმა უკვე დასრულებული მოდულის (Illustrator) შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც სისტემურადაც და შინაარსობრივადაც გამართულად იყო შედგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლაში (ს/კ: 239404266) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მესამე საკითხი: სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით: ნინო ქიტიაშვილი და ალექსანდრე კეკენაძე დაევალა სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების პირველადი ავტორიზაციის დასკვნა, დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 28 სექტემბერს განახორციელა ვიზიტი დაბა თიანეთში, რუსთაველის ქუჩა N59. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსების (2.2) და პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის (4.1) მიმართულებები. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა. პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულ B გარემოში უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო ადგილები, კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი, ციფრული სადემონსტრაციო საშუალება და დარგის შესაბამისი აღჭურვილობა. ასევე გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები. თუმცა, მონიტორინგისას კვლავ გამოიკვეთა ცალკეული მატერიალური რესურსების სრულად უზრუნველყოფის საჭიროება, მათ შორის ტელეფონის სადგურის, ფლეშ-მეხსიერებების, კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტისა და ოპერაციული სისტემის ინსტალაციის პაკეტის მიმართულებით, ხოლო A გარემოში არ იყო უზრუნველყოფილი კომპიუტერი და ციფრული სადემონსტრაციო საშუალება. 4.1 კომპონენტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა, პერსონალის ფუნქციები და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები. მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებამ განახორციელა შესაბამისი ცვლილებები და წინარე მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ორგანიზაციული ხასიათის ხარვეზები აღმოფხვრა. ასევე დადასტურდა პერსონალის ფუნქციების შესაბამისობა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის არსებობა, მაგრამ პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის

შედეგად დადგინდა, რომ არ არის წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ შესაბამისი ცნობები, რის გამოც აღნიშნული მიმართულებით კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება დოკუმენტურად სრულად არ დასტურდება. საერთო ჯამში, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა დაწესებულების მიერ წინარე რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციისა და თანდართული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა პერსონალის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა, ხოლო მატერიალური რესურსების სრულად უზრუნველყოფის მიზნით გარკვეული ღონისძიებები კვლავ განსახორციელებელია. დაწესებულებამ 2026 წლის 19 ოქტომბრის N 1470853 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულების საბოლოო ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად: ინდიკატორი 4.1.2.1 – 15.10.2026, ინდიკატორი 2.2.1.1 – 29.10.2026. ექსპერტთა მიერ შეფასებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია წინამდებარე დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2 კომპონენტი - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი ვიზიტის დროს პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსები სრულად არ იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰქონდა პროგრამით განსაზღვრული ტელეფონის სადგური, ფლეშ-მეხსიერებები, კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტი, ოპერაციული სისტემის ინსტალაციის პაკეტი და Usb ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი. ამასთან, A გარემოში არ არის უზრუნველყოფილი კომპიუტერი და ციფრული სადემონსტრაციო საშუალება. დაწესებულების მიერ 2026 წლის 19 ოქტომბერს N 1470853 წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმის და თანდართული მტკიცებულებების (მიღება-ჩაბარების აქტები და ფოტო მასალა) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ 20206 წლის 29 სექტემბრიდან დაიწყო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, შეძენილია ფლეშ-მეხსიერებები, უზრუნველყოფილია საინსტალაციო პაკეტების ჩატვირთვა, ხოლო USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი დაწესებულების მფლობელობაშია. დაწესებულების განმარტებით, A ტიპის სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილი, რაც წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება. ამასთან, სატელეფონო სადგურთან დაკავშირებული სწავლის შედეგისთვის, როგორც დარგის წარმომადგენლებისთვის ცნობილია, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პროგრამული ვერსია, რასაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიც ითვალისწინებს, თუმცა სკოლა გეგმავს და ახალი მიღების დაფინანსების ფარგლებში შეძლებს აღნიშნული მოწყობილობის შეძენასაცსატელეფონო სადგურის შეძენა დაგეგმილია ახალი მიღების ფარგლებში მიღებული დაფინანსების გათვალისწინებით, ხოლო კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტის შესაძენად შერჩეულია მომწოდებელი, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში გაწერილი აქტივობების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 29 ოქტომბერი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ პროგრამის დარჩენილი რესურსის შესყიდვის პროცესის დასრულებისთვის მოცემული დრო რელევანტურია და აღნიშნულ ვადაში შესრულებადია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები და მატერიალური რესურსების ნაწილი უკვე უზრუნველყოფილია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა მატერიალური რესურსის სრულად უზრუნველყოფა დასრულებული არ არის, რაც ასევე მითითებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

4.1 კომპონენტი - პერსონალის და პროცესების მართვა

ინდიკატორი 4.1.2.1 ვიზიტის დროს პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალს არ ქონდა წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ შესაბამისი ცნობები. თუმცა, დაწესებულების მიერ 2026 წლის 19 ოქტომბერს N 1470853 წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის პირად საქმეებში კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ცნობები, რომლებიც ადასტურებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის საკითხებს, მოპოვებულია და წარმოდგენილია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჰყავს 4 ახალი მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია ადგილზე გასაუბრების და პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, ხოლო ექსპერტთა მოსაზრებით, წარმოდგენილი ცნობები არ საჭიროებს დამატებითი შინაარსობრივი შესწავლის ან შეფასების განხორციელებას, ვინაიდან ისინი გაიცემა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ. ამასთან, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, დაწესებულებამ უკვე უზრუნველყო აღნიშნული დოკუმენტაციის მოპოვება (აქტივობის ვადები - 29.09.2026 – 15.10.2026), რის შედეგადაც თავდაპირველი შეფასების ფარგლებში გამოვლენილი დოკუმენტური ხარვეზი აღმოფხვრილია. მიუხედავად ხარვეზის აღმოფხვრისა, შეფასების ცვლილება უნდა განხორციელდეს ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრული პროცედურისა და შეფასების საფუძვლების გათვალისწინებით. შესაბამისად, გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის N 0001470853 კორესპოდენციით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც გაწერილი აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადა არ აღემატება 1 თვეს. დაწესებულება განმარტავს, რომ 2025 წლის მიღებაზე ჩარიცხული 9 პროფესიული სტუდენტიდან 5 სტუდენტის გადინების შედეგად მიღებული დაფინანსება არასაკმარისი აღმოჩნდა პროგრამისთვის საჭირო დარჩენილი მატერიალური რესურსებისა და მასალა-ნედლეულის შესაძენად. აღნიშნული დანაკლისის შევსებას სკოლა შეძლებს მხოლოდ 2026 წლის მიღების ჯგუფის დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სკოლამ ვიზიტის შემდგომ შეიმუშავა

და დაამტკიცა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და 2026 წლის 29 სექტემბრიდან დაიწყო გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება (ინდიკატორი 2.2.1.1 – 29.09.2026-29.10.2026;
ინდიკატორი 4.1.2.1 – 29.09.2026-15.10.2026). დაწესებულების განმარტებით, შეძენილია ფლეშმეხსიერებები, ჩატვირთულია საინსტალაციო პაკეტები, ხოლო USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი სკოლის მფლობელობაშია, რაც შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება. ასევე, წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება A ტიპის სასწავლო გარემოს მოწყობა. სატელეფონო სადგურთან დაკავშირებული სწავლის შედეგისთვის, როგორც დარგის წარმომადგენლებისთვის ცნობილია, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პროგრამული ვერსია, რასაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიც ითვალისწინებს, თუმცა სკოლა გეგმავს და ახალი მიღების დაფინანსების ფარგლებში შეძლებს აღნიშნული მოწყობილობის შეძენასაც, ხოლო კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტის შესაძენად შერჩეულია მომწოდებელი. ექსპერტთა მიერ გაზიარეულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას.

4. ადამიანური რესურსები
4.1 პერსონალისა და პროცესების მართვა
4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას
4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას
4.1.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები:

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-22 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული პროფესიული პროგრამის („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) განხორციელებაში ჩართული ყველა პოზიციის (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, კოორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელი, შესყიდვებისა და რეესტრის სპეციალისტები) ფუნქცია-მოვალეობები.
ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას.
ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული სხვა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესებისგან, რაც უზრუნველყოფს პროცესის დამოუკიდებლობას, ობიექტურობას და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.
შეფასება: 4.1.1.1, 4.1.1.2 და 4.1.1.3 ინდიკატორების მოთხოვნები **დაკმაყოფილებულია სრულად**.

პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება შრომის კოდექსით, შინაგანაწესითა და დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-17 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკით.
თავდაპირველი ვიზიტისას პერსონალის პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ. თუმცა, დაწესებულებამ 2026 წლის 29 სექტემბრის №2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე უზრუნველყო აღნიშნული დოკუმენტაციის მოპოვება და წარმოდგენა (29.09.2026 – 15.10.2026 პერიოდში). გამომდინარე იქიდან, რომ ხარვეზი წარმატებით აღმოფხვრა და მოპოვებულია შესაბამისი ცნობები, ინდიკატორის (4.1.2.1) შეფასება განისაზღვრა როგორც **„მეტ წილად შესაბამისი“**.

პერსონალის შერჩევა ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით (როგორც შიდა რესურსიდან, ისე ღია კონკურსის ან გასაუბრების გზით). დასაქმებული პერსონალისა და ახალი მასწავლებლების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.
პერსონალის მართვის პოლიტიკა ემყარება გუნდური მუშაობის, თანამშრომლობისა და მონაწილეობითი მართვის პრინციპებს (ჩართულობა შეფასების, უკუკავშირისა და განვითარების პროცესებში).
4.1.2.2, 4.1.2.3 და 4.1.2.4 ინდიკატორები დაკმაყოფილებულია, ხოლო მთლიანი კომპონენტის შეფასება, საქმის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეფასებულია როგორც "**მეტწილად შეესაბამე ბა**".

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გოჩა გოგიტიძე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი
2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსით
2.2.1.1 მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა:

პროგრამა („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) ხორციელდება ორ ცვლაში, 20 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილია A და B ტიპის სასწავლო გარემო/აუდიტორიები.
ვიზიტისას ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგიერთი რესურსის (სატელეფონო სადგური, ფლეშ-მეხსიერებები, კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტი, საინსტალაციო პაკეტები, უსადენო ქსელის ადაპტერი და A გარემოს კომპიუტერი/დემო საშუალება) ნაკლებობა.
დაწესებულებამ 2026 წლის 29 სექტემბრის №2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმისა და არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე დაიწყო ღონისძიებები: შეძენილია ფლეშ-მეხსიერებები, ჩატვირთულია საინსტალაციო პაკეტები, დაწესებულების მფლობელობაშია უსადენო ქსელის ადაპტერი და აღჭურვილია A გარემო. სატელეფონო სადგურისა და დასუფთავების კომპლექტის შეძენა დაგეგმილია ახალი მიღების დაფინანსების ფარგლებში (ვადა: 29.10.2026).
გამომდინარე იქიდან, რომ მატერიალური რესურსების ნაწილი უზრუნველყოფილია, ხოლო დარჩენილი რესურსების შეძენა აქტიურ პროცესში და რელევანტურ ვადებშია, ინდიკატორი შეფასდა როგორც **„მეტწილად შესაბამისი“**.
2.2.1.2 პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული მასწავლებელი (მათ შორის 3 დარგობრივი). პირადი საქმეების შემოწმებით დადასტურდა მათი კვალიფიკაცია, ხოლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ 40-საათიან ნორმას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას (**დაკმაყოფილებულია**).
2.2.1.3 შერჩეულ ზოგადი და პროფესიული მოდულების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით (**დაკმაყოფილებუ ლია**).
2.2.1.4 პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც თავად ახორციელებს პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს. პირადმა საქმემ და გასაუბრებამ სრულად დაადასტურა მისი შესაბამისობა (**დაკმაყოფილებულ ია**).
2.2.1.5 ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში (მომსახურება მოიცავს ამობეჭდვის შესაძლებლობასაც) (**დაკმაყოფილებულია**).

2.2.1.6 დაწესებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირთა საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფისა და ადაპტირების მექანიზმები (ელექტრონული ვერსიები, შრიფტების მორგება, ტექსტების გამარტივება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები) (**დაკმაყოფილებულია**).
2.2.1.7 სკოლას შემუშავებული აქვს სამოქმედო ბიუჯეტი (ვაუჩერული დაფინანსება, მასწავლებელთა ანაზღაურება, რესურსების ხარჯები). რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 7 სტუდენტს, ხოლო მონიტორინგის ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 14 სტუდენტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას (**დაკმაყოფილებულია**).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
ეკატერინე გიგაშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, აღმოიფხვრა თუ არა ვიზიტისას გამოვლენილი რესურსის ნაკლებობა და ხომ არ შეფერხდება აღნიშნულის გამო სასწავლო პროცესი.

დაწესებულების დირექტორის განცხადებით, სატელეფონო სადგური, რომელიც სასწავლო პროცესში 15 კვირის შემდეგ უნდა გამოყენებულიყო, უკვე მოძიებულია და 29 ოქტომბრისთვის სრულად შეძენილი და გაფორმებული იქნება. ამჟამად პრაქტიკული მიზნებისთვის ჩამოტვირთული და გამოყენებულია მისი პროგრამული უფასო ვერსია, ხოლო ყველა სხვა მიმართულებით დაფიქსირებული ხარვეზი უკვე აღმოფხვრილია.

ნათია ბუთხუზის შეკითხვაზე, რომელიც სკოლის მიერ ახალმიღებული 4 პედაგოგის სავალდებულო ცნობების (სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებით) არარსებობას ეხებოდა, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეფერხება გამოწვეული იყო ფინანსური სირთულეებით (ხელფასების დაგვიანებითა და ცნობების ფასიანი ხასიათით), თუმცა საკითხი უკვე მოწესრიგებულია და ყველა მასწავლებლის დოკუმენტაცია სრულ წესრიგშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, პროგრამულ მდგრადობასთან და ფინანსურ დეფიციტთან დაკავშირებით, ვინაიდან 2025 წელს ჩარიცხული 9 სტუდენტიდან 5-ს სტატუსი შეუწყდა, რის გამოც სკოლას მატერიალური რესურსების შესყიდვა გაუჭირდა და მომავალი წლის შემოსავლებით გეგმავს მის უზრუნველყოფას.
ამ საკითხზე განმარტება გააკეთა განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ნათია გვირჯიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სტუდენტების სიმცირის შემთხვევაში ამოქმედდება გაზრდილი კოეფიციენტები ვაუჩერულ დაფინანსებაში, რაც უზრუნველყოფს სკოლის ბალანსსა და აუცილებელი ფინანსების მობილიზებას პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაცემული ჰქონდა შესაბამისობის ორი რეკომენდაცია. კერძოდ, პირველი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსებს: სკოლამ შეიძინა ოპერატიული (ფლეშ/ფრეის) მეხსიერებები, უზრუნველყოფილია საინსტალაციო პაკეტის ჩატვირთვა, ხოლო უსადენო ქსელის ადაპტერი უკვე დაწესებულების მფლობელობაშია. დაწესებულების განმარტებით, IT-სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილი, რაც ფოტომასალითაც დასტურდება და ექსპერტებმაც დაადასტურეს.
რაც შეეხება სატელეფონო სადგურს, დარგის წარმომადგენლის განმარტებით, სტანდარტი ითვალისწინებს პროგრამული ვერსიის გამოყენებასაც, თუმცა შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლას 29 ოქტომბრისთვის აპარატურული რესურსებიც ექნება.
ვინაიდან ექსპერტები და სკოლა წარმოდგენილი არგუმენტებითა და ფოტომასალით ადასტურებენ აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს

შესთავაზა, რომ მეტწილი შესაბამისობიდან აღნიშნული ორი კომპონენტი, ასევე 4.1 კომპონენტი (რომელიც გულისხმობდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ცნობების წარდგენას და ეს დოკუმენტებიც უკვე სრულად არის წარმოდგენილი დაწესებულების მიერ), სრულ შესაბამისობაში გადასულიყო.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულ წინადადებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში (ს/კ: 232386272) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის No1197371 - 10/09/2026 ბრძანებით შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით: ნინო ქიტიაშვილი და ალექსანდრე რუხაძე დაევალა სსიპ - ქალაქ ხაშურის No7 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების პირველადი ავტორიზაციის დასკვნა, დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 29 სექტემბერს განახორციელა ვიზიტი ქ. ხაშურში, თამარ მეფის No10-ა. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსების (2.2) და პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის (4.1) მიმართულებები. სსიპ ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლა ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი სასწავლო გარემო, ადამიანური რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროგრამის განხორციელების პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებითა და შიდა მექანიზმებით. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის, არსებული სასწავლო გარემოსა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო პროცესები და რესურსები შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ხარვეზი არ გამოვლენილა
IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაცია არ გაცემულა
V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა
VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე
სსიპ ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნის პროექტს და გამოთქვამს თანხმობას პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მიერ წინა ვიზიტზე გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ადგილზე დათვალიერებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ სრულად უზრუნველყო ყველა გაცემული რეკომენდაციის შესრულება:
ინდიკატორი 4.1.1.1 დაწესებულებაში განხორციელდა ორგანიზაციული სქემის ცვლილება პროფესიული განათლების მიმართულებით. განისაზღვრნენ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და მათი მკაფიო ფუნქცია-მოვალეობები ასახულია განახლებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ინდიკატორი 4.1.1.2 სრულად დაკონკრეტდა და გამიჯნდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები, რამაც უზრუნველყო პროცესების ეფექტიანი წარმართვა.
ინდიკატორი 2.2.1.1 ადგილზე შემოწმებით დადასტურდა, რომ პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ორივე აუდიტორია სრულადაა აღჭურვილი საჭირო სასწავლო გარემოთი, მასწავლებლის ინვენტარით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებითა და მოდულებით გათვალისწინებული მატერიალური აღჭურვილობით.
ინდიკატორი 2.2.1.2 პროფესიული მოდულების შეუფერხებელი და მდგრადი განხორციელების მიზნით, სკოლამ შეარჩია და გააფორმა ხელშეკრულებები 14 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რაც სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სტაბილურობას.
ინდიკატორი 2.2.1.3 პირადი საქმეების, სერტიფიკატებისა და გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ მასწავლებლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგები და ფლობენ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.
ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალები და ლიტერატურა დამუშავებულია, შევსებულია და ბიბლიოთეკაში სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით.
ექსპერტის განცხადებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული ყველა შესაბამისობის რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ელენემ, შეკითხვით მიმართა ექსპერტს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვასა და ფუნქციათა შეთავსებასთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი თავად უძღვებოდა ყველა დარგობრივ მოდულს.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა ეჭვი აღნიშნული დატვირთვის რეალისტურობასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, პრაქტიკაში ხომ არ აღემატებოდა მისი სამუშაო დრო კვირაში 40 საათს და რამდენად ახერხებდა იგი ასეთი პედაგოგიური დატვირთვის პარალელურად პროგრამის ადმინისტრირებასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების ეფექტიანად წარმართვას.
ექსპერტმა განმარტა, რომ დასკვნაში არსებული ჩანაწერი მცდარად იქნა გაგებული ან არაზუსტად ჩამოყალიბდა: ხელმძღვანელს აქვს ყველა დარგობრივი მოდულის გაძღოლის პროფესიული კომპეტენცია, თუმცა რეალურად იგი ყველა მოდულზე ლექციებს არ კითხულობს.
ექსპერტის განცხადებით, ფიზიკურად და დროის თვალსაზრისით შეუძლებელი იქნებოდა ყველა მოდულის ერთპიროვნულად წარმართვა იმ პირობებში, როდესაც მასწავლებელთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და პროგრამის ადმინისტრაციული მართვა სწორედ პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა.
თავმჯდომარემ დაადასტურა მიღებული განმარტება და აღნიშნა, რომ მისი კითხვა სწორედ დასკვნაში არსებულმა ჩანაწერმა განაპირობა, რადგან ყველა მოდულის ერთდროულად გაძღოლა პრაქტიკულად შეუსრულებელ ამოცანას წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლაში (ს/კ: 243891491) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში (მისამართი: ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ კომპონენტის შესრულების შემოწმება. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის

საკითხთა განხილვისა და პოზიციების შეჯერების შედეგად განისაზღვრა დასაზუსტებელი თემები და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. შესაბამისად, ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21 სექტემბერს (მისამართზე: ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე). ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან. დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წინამდებარე დასკვნაში.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში ასახული მიგნებები, რაც დაადასტურა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა დაწესებულებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი:

4.1.1.2 დაწესებულებამ უზრუნველყო ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირება და შესაბამისობის გეგმის მიხედვით ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სამუშაო აღწერილობებით მკაფიოდ არის განსაზღვრული სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქცია-მოვალეობები, პერსონალის ვალდებულებები სრულ თანხვედრაშია აღწერილობებთან და თანამშრომლები სრულად ინფორმირებულნი არიან საკუთარი მოვალეობების შესახებ. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.1 დაწესებულებამ შეასრულა შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულება და სრულად მოახდინა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების მობილიზება. ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ წინა ვიზიტისას დაფიქსირებული ხარვეზები ამჟამად სრულად არის აღმოფხვრილი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2 პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ დაამატა დარგობრივი მოდულის კიდევ ერთი განმახორციელებელი. წარმოდგენილი პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია სრულად საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი განხორციელებისთვის. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3 პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი პროფესიული უნარების სააგენტოში თემაზე: „პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიები და მექანიზმები“. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.5 პროგრამაში („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) მითითებული საგანმანათლებლო რესურსი სრულად ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატით. აღნიშნული რესურსები განთავსებულია როგორც პედაგოგთა პერსონალურ კომპიუტერებში, ისე ბიბლიოთეკაში არსებულ, პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილ კომპიუტერებში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ექსპერტის განცხადებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია და შესაბამისი ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დასკვნის მე-16 გვერდზე არსებულ ჩანაწერზე (სტანდარტი 2.2.14), რომლის თანახმად, ვიზიტის საწყის ეტაპზე პროგრამის მოქმედ ხელმძღვანელს დოკუმენტურად არ უდასტურდებოდა შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია. ხარვეზის აღმოსაფხვრელად კი სკოლის დირექტორმა უშუალოდ ვიზიტის დღეს ახალი ხელმძღვანელი დანიშნა. კითხვის ავტორი დაინტერესდა, რამდენად მიეცა ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა, სრულფასოვნად შეეფასებინა ახალდანიშნული ხელმძღვანელის მიერ პროგრამის ადმინისტრირებისა და შინაარსობრივი მართვის რეალური ეფექტიანობა ასეთ მოკლე ვადაში.
ექსპერტმა განმარტა, რომ ბრძანების გამოცემამდე ექსპერტთა ჯგუფი პირადად გაესაუბრა აღნიშნულ კანდიდატს, რომელსაც უკვე ჰქონდა ახლო მდებარე პროფესიულ კოლეჯში ანალოგიური პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება. მან ხაზი გაუსვა, რომ კანდიდატმა გამოთქვა სრული მზაობა და სურვილი, გეოგრაფიული დისტანციის მიუხედავად, სათანადოდ ეხელმძღვანელა პროგრამისთვის, რაშიც ექსპერტთა ჯგუფი მისი წარსული გამოცდილებისა და კომპეტენციის საფუძველზე დარწმუნდა.
საკითხის დასაზუსტებლად დისკუსიაში თავად პროგრამის ახალი ხელმძღვანელი, ლია ინასარიძე ჩაერთო და საკუთარი კვალიფიკაცია დეტალურად წარადგინა: 2018 წლიდან მოღვაწეობდა პროფესიული განათლებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში; ამასთანავე, არის „ცისკოს“ (Cisco) აკადემიის ორი პროგრამის ინსტრუქტორი; ასწავლის დარგობრივ მოდულებს კოლეჯ „ოპიზარში“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამაზე („კომპიუტერული ქსელები და სისტემები“) და მანამდე მუხის საჯარო სკოლაშიც ახორციელებდა შესაბამის მოდულებს; ფლობს მრავალწლიან ადმინისტრაციულ გამოცდილებასაც (კერძოდ, რამდენიმე წელი მუშაობდა სასწავლო პროცესის მენეჯერად და IT სპეციალისტად). მან აღნიშნა, რომ მისი კვალიფიკაცია სრულად დასტურდება დიპლომებით, სერტიფიკატებითა და პრაქტიკული გამოცდილებით.
მეორე კითხვით, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დასკვნის მე-15 გვერდზე არსებული მონაცემით, რომლის მიხედვითაც სკოლას 9 აქტიური სტუდენტისთვის გამოყოფილი ჰქონდა 9 კომპიუტერი. ეს კონტინგენტი 2025 წლის მიღებას წარმოადგენდა, ხოლო 2026 წელს, განმახორციელებელი კადრების სიმცირის გამო, ახალი მიღება საერთოდ აღარ განხორციელებულა.
თავმჯდომარემ დასვა კითხვა, რით დასტურდებოდა პროგრამის განხორციელების მდგრადობა მომავალი მიღებებისთვის, როდესაც დაწესებულებამ მიმდინარე ეტაპზე ახალი ნაკადის მისაღებად კადრების მობილიზება ვერ შეძლო.
საკითხზე განმარტება სკოლის წარმომადგენელმა გააკეთა და განაცხადა, რომ მიღების შეჩერება მხოლოდ პედაგოგთა სიმცირეს არ განუპირობებია: სკოლა მდებარეობს მაღალმთიან სოფელში, სადაც მოსწავლეები 6–7 სხვადასხვა სოფლიდან, 14–15 კილომეტრის რადიუსიდან დადიან და სპეციალური ტრანსპორტით სარგებლობენ; ამასთანავე, ახალი ნაკადის მიღება სასწავლო პროცესის მეორე ცვლაში (სმენაში) გადატანას მოითხოვდა, თუმცა მეორე ცვლის პირობებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, დარჩებოდა თუ არა ეს სატრანსპორტო ბარიერი მუდმივ პრობლემად, თუ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ალტერნატიული გეგმა, ვინაიდან მიმდინარე გრაფიკით, სანამ მოქმედი 9-სტუდენტიანი ნაკადი არ დაასრულებს სწავლას, სკოლა ახალ მიღებას პირველ ცვლას ვერ დაამთხვევს, რაც პრაქტიკაში წელიწადგამოშვებით მიღების რეჟიმს ნიშნავს. აღნიშნულ საკითხზე სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მიმდინარე

ეტაპზე პროცესი ამ ფორმით წარიმართა, თუმცა სამომავლოდ საკითხის გამოსწორებას შეეცდებიან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში (ს/კ: 222727967) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის

განხორციელება სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის No1 საჯარო სკოლაში (მის.: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის შესრულებისა და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შემოწმება. ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვისა და შეჯერების შედეგად განისაზღვრა დასაზუსტებელი თემები და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი. შესაბამისად, ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 25 სექტემბერს (მისამართზე: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი). ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წინამდებარე დასკვნაში.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში ასახული მიგნებები, რაც დაადასტურა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა (სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის N2-15 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით). მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული დოკუმენტაციისა და ადგილზე შემოწმების საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

4.1.1.1 და 4.1.1.2 დაწესებულებამ უზრუნველყო რეკომენდაციის შესრულება. წარმოდგენილია ორგანიზაციული სტრუქტურა და „პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები და შეთანხმებები შინაარსობრივად სრულ თანხვედრაშია სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებთან. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.1 მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დადასტურდა რეკომენდაციის შესრულება. წინა ვიზიტისას ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი სრულად აღმოფხვრილია; კერძოდ, შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულება რესურსების მობილიზებასთან დაკავშირებით სრულად არის შესრულებული. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2 მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ დაამატა დარგობრივი მოდულის კიდევ ერთი განმახორციელებელი. შესაბამისად, პროგრამის დანართით განსაზღვრული პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი განხორციელებისთვის. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3 მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა 2025 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიარეს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები თემებზე: „პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიები და მექანიზმები“, „სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში“ და „მეცნიერება და ტექნოლოგიები“. გარდა ამისა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები შემდეგ მოდულებში: „სპორტი“, „მოქალაქეობა“, „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ და „ესთეტიკა“. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2.2.1.5 მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამაში („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) მითითებული საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატით. აღნიშნული რესურსები განთავსებულია როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლების, ისე პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილ პერსონალურ კომპიუტერებში. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის მიმდინარეობისას საბჭოს თავმჯდომარემ დარგობრივ ექსპერტს სასწავლო სივრცის უსაფრთხოებასა და ფუნქციურ გამართულობასთან დაკავშირებით შეკითხვით მიმართა და აღნიშნა, რომ დასკვნის მე-14 გვერდის თანახმად, „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების“ პროგრამის თეორიული (A), პრაქტიკული/ლაბორატორიული (B) და სამუშაო (C) კომპონენტების სწავლება ერთ საერთო, გაერთიანებულ გარემოში მიმდინარეობს. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა სპეციფიკურ პრაქტიკულ სამონტაჟო სამუშაოებს მოითხოვს, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად მოსახერხებელი და უსაფრთხოა ერთი და იმავე სივრცის გამოყენება როგორც თეორიული მეცადინეობებისთვის, ისე ქსელური ინფრასტრუქტურის პრაქტიკული აწყობა-მონტაჟისთვის.
დარგობრივმა ექსპერტმა, ბატონმა ზურაბმა განმარტა, რომ შემოწმებული სივრცე წარმოადგენს კომპიუტერულ კლასს, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, რათა სტუდენტებმა პრაქტიკულად შეისწავლონ კომპიუტერის დაშლა-აწყობა, დედაპლატებისა და სლოტების თავსებადობა და აპარატურული ურთიერთქმედება. უსაფრთხოების ასპექტზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ თეორიული ნაწილისთვის საფრთხე არ არსებობს, ხოლო პრაქტიკული სამუშაოების ნაწილში რისკების პრევენციის მიზნით სამუშაო ზედაპირები დაფარულია ანტისტატიკური მასალით. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები კაბელების მენეჯმენტთან (Cable management) დაკავშირებით დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა და შეასრულა.
საკითხს დამატებით გამოეხმაურა ექსპერტი, ბატონი დავითი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ სასწავლო გარემოს ამგვარი ორგანიზება (ABC მოდელი) აპრობირებული და ფართოდ დანერგილი პრაქტიკაა ამ პროგრამის ფარგლებში; შესაბამისად, მონიტორინგის პროცესში უსაფრთხოების კუთხით რაიმე სახის დარღვევა ან ხარვეზი არ გამოვლენილა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლაში (ს/კ: 244556967) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილიმიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, 2026 წლის 22 სექტემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანებისა და შესაბამისი ოქმების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ – ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით.
ადმინისტრაციასთან გასაუბრების, სასწავლო გარემოსა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების ადამიანური რესურსი, ინფრასტრუქტურა და შიდა მარეგულირებელი აქტები სრულად უზრუნველყოფს ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად და ერთობლივად განხორციელებას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაცია არ გამოვლენილა
V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაცია არ გამოვლენილა

რეკომენდაციებისა და ინდიკატორების შესრულების ანალიზი
ინდიკატორი 3.1.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყო სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტის კორექტირება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დოკუმენტში დაემატა არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაც (იმ შემთხვევაში, თუ პირი 16 წელს მიუწეველია), ასევე დაკონკრეტდა დასამუშავებელი მონაცემები და მათი დამუშავების წესი. (რეკომენდაცია გათვალისწინებულია).
ინდიკატორი 2.4.1.6 პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულებამ შეიმუშავა სასწავლო ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესი და თვალსაჩინო ადგილას განათავსა. (რეკომენდაცია გათვალისწინებულია).
ინდიკატორი 4.1.1.1 ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განაახლა ორგანიზაციული სტრუქტურა. (რეკომენდაცია შესრულებულია).
ინდიკატორი 4.1.2.2 შინაგანაწესში განისაზღვრა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობა — ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა და გაცემის წესი (ასევე ასახულ იქნა შრომის კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები). გარდა ამისა, სამუშაო დრო დაკორექტირდა იმგვარად, რომ ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. (რეკომენდაცია შესრულებულია).
პროგრამის განხორციელებისა და რესურსების შეფასება:
ინდიკატორი 2.2.1.1 თავდაპირველად დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაში იყო აღნიშნულ ინდიკატორთან და მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია. ამ ეტაპისთვის სკოლის სპორტული დარბაზი მოწყობილია იმგვარად, რომ სრულად უზრუნველყოფს შესაბამისი მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში მოწყობილი და სრულად აღჭურვილია პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის საჭირო სივრცეები; მატერიალური რესურსი სრულად საკმარისია სასწავლო პროგრამის შეუფერხებლად წარმართვისთვის.
ინდიკატორი 2.2.1.2 თავდაპირველი შეფასებით დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაში იყო მოთხოვნასთან და გეგმავდა ადამიანური რესურსების განვითარებას. წარმოდგენილი მონიტორინგის შედეგად, დაწესებულებამ დამატებით მოიძია და განავითარა ადამიანური რესურსები, რათა პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ შეექმნას.
ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკიდან გამომდინარე (რისთვისაც შემუშავებული იყო შესაბამისობის გეგმა, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №41 ბრძანებით), დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაში იყო ინდიკატორთან. ამ ეტაპისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები სრულად გადამზადდნენ შესაბამისი მიმართულებით.
ინდიკატორი 2.2.1.5 მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად საბიბლიოთეკო რესურსი არასაკმარისი იყო და არსებობდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ამჟამად ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსი) სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებულ მოდულებში მითითებულ ლიტერატურას და პროგრამების განსახორციელებლად სრულად საკმარისია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, ბატონი გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადების ფორმატითა და შინაარსით — კერძოდ, ჩატარდა თუ არა ტრენინგები ერთობლივად თუ ინდივიდუალურად და აქცენტი ინტეგრირებული პროგრამების სპეციფიკაზე გაკეთდა თუ უშუალოდ პროფესიულ კომპონენტზე.
ექსპერტმა, ქალბატონმა თინათინმა, განმარტა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება, წინა სკოლების მსგავსად, ცენტრალიზებულად და ერთიანად წარიმართა. პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადების საკითხის დეტალურად გასაშლელად კი მან სიტყვა დარგობრივ ექსპერტს, ბატონ ზურაბს გადასცა.
დარგობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ განმახორციელებელ პერსონალს დარგში საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა, ამიტომ გადამზადება ძირითადად პროფესიული სწავლების სპეციფიკას, შეფასების ინსტრუმენტებს, ასევე ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურებს დაეთმო. მან ხაზი გაუსვა, რომ ვინაიდან საქმე მე-4 დონის პროგრამას ეხებოდა, ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სპეციფიკურ დარგობრივ ცოდნას (კერძოდ, Cisco-სა და Linux-ის ტექნოლოგიებს, რომლებიც ყოველდღიურ IT მიმართულებაში ნაკლებად გამოიყენება) და დარწმუნდა პედაგოგთა შესაბამის კვალიფიკაციაში. გარდა ამისა, სტუდენტებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ სასწავლო პროცესი კალენდარული გეგმის სრული დაცვით მიმდინარეობს.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სკოლამ 2026 წლის 15 იანვარს განაახლა შინაგანაწესი ზეგანაკვეთურ სამუშაოსა და ადმინისტრაციული პერსონალის 40-საათიან დატვირთვასთან მიმართებით და იკითხა, გამოიკვეთა თუ არა გასაუბრებისას პრაქტიკაში ზეგანაკვეთური შრომის ფაქტები და როგორ ხდებოდა მათი აღრიცხვა.
ექსპერტმა უპასუხა, რომ პრაქტიკაში ზეგანაკვეთური შრომის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. მისი თქმით, ხარვეზი მხოლოდ დოკუმენტურ მხარეს ეხებოდა (ძველ დოკუმენტში საკითხი სათანადოდ არ იყო აღწერილი), რაც სკოლამ გამოსწორებული რედაქციით აღმოფხვრა. გასაუბრებისას კი ყველა თანამშრომელმა დაადასტურა 40-საათიანი სამუშაო კვირის ლიმიტის ზედმიწევნით ცოდნა და დაცვა.
საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ლაბორატორიის ტევადობითა და ზოგადსაგანმანათლებლო მოსწავლეებთან ნაკადების შესაძლო გადაკვეთით, რაზეც ექსპერტმა, ქალბატონმა თინათინმა, დააზუსტა, რომ კომპიუტერული ლაბორატორია სრულად ავტონომიური სივრცეა, რომელიც მხოლოდ პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვისაა გამოყოფილი. სკოლის მატერიალური რესურსი იძლევა იმის საშუალებას, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ ნაკადებს შორის სივრცობრივი და დროითი აცდენა ან კვეთა საერთოდ არ წარმოიშვას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლაში (ს/კ: 248386811) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მერვე საკითხი: სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, 2026 წლის 25 სექტემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანებისა და შესაბამისი ოქმების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის No2 საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ – ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით.

ადმინისტრაციასთან გასაუბრების, სასწავლო გარემოსა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების ადამიანური რესურსი, ინფრასტრუქტურა და შიდა მარეგულირებელი აქტები სრულად უზრუნველყოფს ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად და ერთობლივად განხორციელებას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გამოვლენილა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გამოვლენილა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

რეკომენდაციებისა და ინდიკატორების შესრულების ანალიზი

ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია:

რეკომენდაცია: დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გადაეხედა მარეგულირებელი დოკუმენტებისთვის და გაესწორებინა ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამებოდა დაწესებულების სპეციფიკას.

შესრულება: ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი (ორგანოგრამა, ხელშეკრულებები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი — დამტკიცებული 2026 წლის 11 სექტემბრის №MES 1 26 0000002-09 ბრძანებით) დაკორექტირებულია და ტექნიკურად გასწორებულია.

ინდიკატორი 3.1.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყო სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტის კორექტირება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დოკუმენტში დაემატა არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაც (იმ შემთხვევაში, თუ პირი 16 წელს მიუწეველია), ასევე დაკონკრეტდა დასამუშავებელი მონაცემები და მათი დამუშავების წესი. **(რეკომენდაცია გათვა ლისწინებულია).**

ინდიკატორი 2.4.1.6 პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულებამ შეიმუშავა სასწავლო ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესი და თვალსაჩინო ადგილას განათავსა. **(რეკომენდაცია გათვალისწინებულია).**

ინდიკატორი 2.2.1.3 იმისათვის, რომ სწავლების ხარისხი შესაბამისობაში ყოფილიყო საერთაშორისო დონესთან, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ პროგრამაში ჩართული მასწავლებლები ფლობდნენ CISCO CCNA (Cisco Certified Network Associate) სერტიფიკატს.

დაწესებულებამ დაადასტურა და პერსონალური საქმეების შესწავლის შედეგად გამოიყო, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ შესაბამისი CISCO CCNA სერტიფიკატები.

ინდიკატორი 4.1.1.1 სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი და 2025 წლის 16 ივნისის №2-20 ბრძანებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. დოკუმენტაცია ხელმოწერილია დასაქმებულთა მიერ. ვინაიდან თავდაპირველად ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფდა ძირითადი პროცესების განხორციელებას, სკოლამ წარმოადგინა 18-თვიანი გეგმა. ორგანიზაციული სტრუქტურა და დოკუმენტაცია განახლებულია; მკაფიოდ არის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქციები. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და მათი კომპეტენცია. **(რეკომენდაცია შესრულებულია).**

ინდიკატორი 4.1.1.2 დაწესებულების პერსონალი, დადგენილი ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, სრულად არის დაკომპლექტებული და ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას (მოქმედი ხელშეკრულებებისა და მარეგულირებელი წესების შესაბამისად). **(რეკომენდაციაშესრულებულ ია).**

ინდიკატორი 4.1.1.3 შექმნილია ხარისხის მართვის მენეჯერის შტატი და აყვანილია შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე პირი. **(რეკომენდაცია შესრულებულია).**

ინდიკატორი 4.1.2.2 შინაგანაწესში განისაზღვრა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობა — ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა და გაცემის წესი (ასევე ასახულ იქნა შრომის კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები). გარდა ამისა, სამუშაო დრო დაკორექტირდა იმგვარად, რომ ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. **(რეკომენდაცია შესრულებულია)**

პროგრამის განხორციელებისა და რესურსების შეფასება

ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამა მოიცავს სპორტის ინტეგრირებულ მოდულს (კალათბურთი და ფეხბურთი). სკოლის სპორტული დარბაზი სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. მონიტორინგის ვიზიტისას სკოლა აღჭურვილი იყო ყველა იმ მატერიალური რესურსით, რომელიც აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად (ზღვრული

რაოდენობის გათვალისწინებით). რესურსები შესყიდულია, რაც დასტურდება მატერიალური ინვენტარითა და შესაბამისი შესყიდვების დოკუმენტაციით. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

ინდიკატორი 2.2.1.2 პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრულია 10 განმახორციელებელი პირი (მათ შორის 8 ზოგადი და ზოგადინტეგრირებული, ხოლო 2 — პროფესიული მოდულების). თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პირი და მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ ნორმებს.

ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან (მათი კომპეტენცია დასტურდება სამუშაო გამოცდილებით), ხოლო დარგობრივი მიმართულებით პერსონალს კომპეტენცია უდასტურდება დარგობრივი პროფილის შესაბამისად. პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გასაუმჯობესებლად პერსონალი სრულად გადამზადდა.

ინდიკატორი 2.2.1.4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) ხელმძღვანელია შესაბამისი განმახორციელებელი პირი, რომლის კომპეტენცია, განათლება და სამუშაო გამოცდილება სრულად მოიცავს დარგისა და პროგრამის ხელმძღვანელობისთვის აუცილებელ ყველა კომპონენტს.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი სრულად ხელმისაწვდომია (ბეჭდური და ელექტრონული სახით) პროფესიული სტუდენტებისთვის. ნაწილი ელექტრონული რესურსისა ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში (მომხმარებლის სურვილისამებრ გადატანის/დაბეჭდვის შესაძლებლობით). ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მატერიალური და ელექტრონული რესურსი) სრულად შეესაბამება და საკმარისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, ბატონი გოჩა, დაინტერესდა სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხით. მან აღნიშნა, რომ სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულება მოიცავს როგორც ინფორმაციის, ისე ფოტო-ვიდეომასალის გასაჯაროების პირობებს და იკითხა, წინა გამოსვლაში ნახსენები სტუდენტების აუდიტორიიდან გასვლა მათი მხრიდან გადაღებაზე უარის თქმით იყო განპირობებული თუ სხვა გარემოებით.

ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შესვლისას აუდიტორიაში სალექციო პროცესი მიმდინარეობდა, ხოლო ფოტოგადაღების მიზანს სასწავლო გარემოსა და პროცესის დაფიქსირება წარმოადგენდა. ვინაიდან სტუდენტებმა თავად გამოთქვეს სურვილი, რომ კადრში არ მოხვედრილიყვნენ და ექსპერტს შესთავაზეს, აუდიტორიიდან მათ გასვლამდე დაეცადა, ფოტოს გადაღება მხოლოდ მათი გასვლის შემდეგ განხორციელდა.

ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დასკვნის მე-6 და მე-18 გვერდებზე არსებულ ჩანაწერზე, რომლის მიხედვითაც „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების“ დარგობრივ მოდულებს სულ 2 პროფესიული მასწავლებელი ახორციელებდა, ხოლო თითოეულ კონკრეტულ მოდულზე მხოლოდ თითო პედაგოგი იყო მიმაგრებული. საბჭოს

თავმჯდომარე, დასვა კითხვა, რამდენად უზრუნველყოფდა აღნიშნული მოცემულობა პროგრამის მდგრადობასა და პერსონალის ჩანაცვლებას იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება შეუწყდებოდა ან შეუჩერდებოდა.
საკითხზე საპასუხოდ ექსპერტმა რამდენიმე გარემოება გამოყო: დაწესებულების წარმომადგენელთან (ქალბატონ თეონასთან) გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა მოლაპარაკებებს აწარმოებდა საკუთარ კურსდამთავრებულთან, რომელმაც პროგრამაში ჩართვაზე თანხმობა განაცხადა. თუმცა, ვინაიდან ვიზიტის პერიოდში შრომითი ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმებული არ იყო, იგი დასკვნის რაოდენობრივ მონაცემებში ვერ აისახა.
ამ საკითხთან მიმართებით, დარგის ექსპერტმა, ბატონმა დემიდმა, მიიჩნია, რომ არსებულ ორ პედაგოგს შეეძლო საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთის მოდულების დაფარვა და მოკლევადიანი ჩანაცვლება.
საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტის პოზიციასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ პედაგოგის ავადმყოფობისას დროებითი ჩანაცვლება განსხვავდება ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევისგან; პროგრამის ნამდვილი მდგრადობა მოითხოვს მინიმუმ ორ ან მეტ განმახორციელებელს, რათა პროგრამა ერთი ადამიანის იმედად არ დარჩეს.
ექსპერტი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარის შენიშვნას და აღნიშნა, რომ თავადაც იზიარებს დამატებითი რესურსის აუცილებლობას.
საბოლოოდ, საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ სკოლამ სავალდებულო წესით უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაცია და მიმართულებას მინიმუმ ერთი განმახორციელებელი კადრი დაუმატოს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში (ს/კ: 229655619) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეცხრე საკითხი: სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე,მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 სექტემბრის №1197262 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა (შემადგენლობა: ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე; დემიდ ფასიეშვილი - დარგის ექსპერტი, წევრი), სსიპ ბადრი ბერნაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით, 2026 წლის 21 სექტემბერს განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება (მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა, მე-2 შესახვევი, №5).
აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტისა და „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ კომპონენტის შესრულების, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ - დასახელებული დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, სკოლაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. 2026 წლის 18 სექტემბერს ონლაინპლატფორმის მეშვეობით გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დასადასტურებლად სკოლის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებებისა და დოკუმენტების ნუსხა, ხოლო ინტერვიუირების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით განაწილდა ჯგუფის წევრთა ფუნქცია-მოვალეობები.
ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რის საფუძველზეც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი №1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.
2026 წლის 21 სექტემბერს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სკოლაში. ვიზიტის პერიოდში ჯგუფი გაეცნო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა

სკოლის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში; ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ჯგუფის წევრმა დაწესებულებას წარუდგინეს პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ბადრი ბერნაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი 13/10/2026 წლის N1444961 კორესპონდენციით დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

4.1.1.1 დაწესებულებამ უზრუნველყო მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება - **შესრულებულია.**

4.1.2.1 დაწესებულებამ უზრუნველყო მოქმედი შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავება თანამშრომელთა (პროფესიული განათლების მიმართულებით) და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით - **შესრულებულია.**

2.2.1.1 დაწესებულებამ უზრუნველყო საგანმანათლებლო სივრცის (C სასწავლო გარემო) აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **შესრულებულია.**

2.2.1.2 დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების დასაქმება - **შესრულებულია.**

2.2.1.3 დაწესებულებამ უზრუნველყო პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **შესრულებულია.**

2.2.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყო პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადება როგორც დარგობრივი მოდულების, ისე სტუდენტთა შეფასების მიმართულებით - **შესრულებულია.**

2.2.1.5 დაწესებულებამ უზრუნველყო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით - **შესრულებულია.**

2.2.1.6 დაწესებულებამ უზრუნველყო სსსმ პირთა წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებთან - **შესრულებულია.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის მიმდინარეობისას საბჭოს თავმჯდომარემ, ექსპერტს დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა და აღნიშნა, რომ დასკვნის მე-18 გვერდზე (ინდიკატორი 2.2.1.3) მითითებული იყო

ჩანაწერი, რომლის თანახმად დარგობრივი მოდულების მასწავლებლებს სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია „ნაწილობრივ“ ჰქონდათ, მაშინ როდესაც თავად ინდიკატორი და მთლიანი 2.2 კომპონენტიც დადებითად იყო შეფასებული („შეესაბამება“). საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გამოიკვეთა თუ არა რეალურად რაიმე ნაკლოვანება პედაგოგთა კომპეტენციაში, თუ აღნიშნული მექანიკურ შეცდომას წარმოადგენდა.
ქალბატონმა ირმამ დაადასტურა, რომ ჩანაწერი ნამდვილად მექანიკური ხასიათის უზუსტობაა და განმარტა, რომ დარგის ექსპერტი პირადად გაესაუბრა პედაგოგებს, მათი კომპეტენცია სრულად დადასტურდა, შესაბამისად, რეალური ხარვეზი ამ მიმართულებით არ გამოვლენილა.
მეორე კითხვით, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, 15-ადგილიან ლაბორატორიაში ორ ცვლად ორგანიზებული სწავლების პროცესით. კერძოდ, რამდენად იყო შეთანხმებული ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების საგაკვეთილო ბადეები ისე, რომ საერთო ლაბორატორიებით (ქიმია, ფიზიკა) სარგებლობისა და მათი ტექნიკური მომსახურების დროს ნაკადების გადაკვეთა და პროცესის შეფერხება არ მომხდარიყო.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს და საგაკვეთილო ცხრილი სათანადოდ არის ოპტიმიზებული: პირველი ცვლის დასრულების შემდეგ იწყება მეორე ცვლის სასწავლო პროცესი, ხოლო თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები მკაფიოდ არის გამიჯნული; ასევე, სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო ნაწილში ქიმიასა და ბიოლოგიას კვირაში მხოლოდ თითო საათი ეთმობა, რაც ლაბორატორიების გადატვირთვის რისკს გამორიცხავს; გარდა რეალური ლაბორატორიისა, პრაქტიკული სამუშაოებისა და ქიმიური რეაქციების წარმართვისთვის დაწესებულება აქტიურად იყენებს ახლად შეძენილ ციფრულ/ვირტუალურ ლაბორატორიასაც, რაც დამატებით უწყობს ხელს სასწავლო პროცესის მოქნილობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლაში (ს/კ: 246994025) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეათე საკითხი: სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 სექტემბრის N1197382 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა, შემადგენლობა -ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე); დემიდ ფასიეშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი), 2026 წლის 22 სექტემბერს განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო საჯარო სკოლაში, (მისამართი: ქ. ქობულეთი, თხილაიშვილის ქ. N42). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულებისა და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შემოწმების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, სკოლაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. 2026 წლის 18 სექტემბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის სკოლის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 22 სექტემბერს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სკოლაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა სკოლის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი სკოლის მიერ ძირითადი და დამხმარე

პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯგუფის წევრთან ერთად დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

4.1.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება - **შესრულებულია;**

4.1.2.1 - დაწესებულებამ უზრუნველყოს მოქმედი შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავება, თანამშრომელთა (პროფესიული განათლების მიმართულებით) და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით - **შესრულებულია;**

2.2.1.1 - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცის (C სასწავლო გარემო) აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **შესრულებულია;**

2.2.1.2 - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების დასაქმება - **შესრულებულია;**

2.2.1.3 - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **შესრულებულია.**

2.2.1.4. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადება, როგორც დარგობრიცი მოდულების, ასევე სტუდენტთა შეფასების მიმართულებით - **შესრულებულია;**

2.2.1.5. დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით - **შესრულებულია.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლაში (ს/კ: 246998502) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეთერთმეტე საკითხი: სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 სექტემბრის N1197443 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა, შემადგენლობა -ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე); დემიდ ფასიეშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი), 2026 წლის 23 სექტემბერს განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯაროსაჯარო სკოლაში, (მისამართი: ქ. ბათუმი, სვიმონ კანანელის ქ. No1). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულებისა და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შემოწმების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას,

სკოლაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. 2026 წლის 18 სექტემბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის სკოლის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრს გადაუნაწილა ფუნქცია- მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 23 სექტემბერს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სკოლაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა სკოლის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი სკოლის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯგუფის წევრთან ერთად დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი 06/10/2026 წლის N01403849 კორესპონდენციით დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

4.1.1.1. - დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში განაახლოს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელშიც უფრო მკაფიოდ არის ასახული პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირების ურთიერთდაქვემდებარება და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დამოუკიდებელი პოზიცია - **შესრულებულია;**

4.1.2.2. დაწესებულებამ უზრუნველყოს შინაგანაწესის გადამუშავება პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებულ თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა მარეგულირებელი საკითხების მკაფიოდ გამიჯვნის მიზნით **- შესრულებულია;**

2.2.1.1 - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცის (C სასწავლო გარემო) აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **- შესრულებულია;**

2.2.1.2 - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების მოძიება/დასაქმება - **შესრულებულია;**

2.2.1.3 - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **შესრულებულია.**
2.2.1.4. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიზნობრივი გადამზადება, რომლის ფარგლებში იგი დეტალურად გაეცნობა მისთვის განსაზღვრულ ფუნქციებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, გააცნობიერებს პროგრამის ხელმძღვანელის როლსა და პასუხისმგებლობის ფარგლებს და უზრუნველყოფს აღნიშნული ფუნქციების ეფექტიან განხორციელებას - **შესრულებულია;**
2.2.1.5. დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით - **შესრულებულია.**
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად, მეორე ჯგუფისთვის სწავლება სამშაბათიდან შაბათის ჩათვლით მიმდინარეობს და დაინტერესდა, რამდენად უზრუნველყოფს სკოლა შაბათობით ლაბორატორიის ტექნიკურ გამართულობას, უსაფრთხოებასა და ადმინისტრაციულ ზედამხედველობას იმ პირობებში, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შაბათობით, როგორც წესი, არ ფუნქციონირებს.
ექსპერტმა განმარტა, რომ საკითხი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომლის მიხედვითაც დასვენების დღედ განსაზღვრულია კვირა, ხოლო შაბათი საჭიროებისამებრ სამუშაო დღეა. შესაბამისად, ერთი ჯგუფი სწავლობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ხოლო მეორე — სამშაბათიდან შაბათის ჩათვლით.
ამასთანავე, ტექნიკურ მხარდაჭერასთან და გამართულობასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიაში სწორედ კომპიუტერული სისტემების პედაგოგები და სტუდენტები იმყოფებიან, რაც ტექნიკური ხარვეზების ადგილზევე ოპერატიულ მოგვარებას უზრუნველყოფს, თუმცა მსგავსი პრობლემა პრაქტიკაში არ დაფიქსირებულა;

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით დააზუსტა დასკვნაში მითითებული 13 ინტეგრირებული მოდულის მასწავლებლის საკითხი, რომლებიც ამავდროულად სკოლის მოქმედი პედაგოგები არიან. საბჭოს წევრი დაინტერესდა, გადაამოწმა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა მათი ჯამური კვირეული დატვირთვა ხომ არ აჭარბებდა სასკოლო საათებისა და პროფესიული სწავლების ჯამი შრომის კოდექსითა და შინაგანაწესით დადგენილ 40-საათიან ზღვარს.
ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მონაცემი დეტალურად გადამოწმდა. მისი განმარტებით, სკოლის ადმინისტრაციას სწორედ ზეგანაკვეთური შრომის თავიდან ასაცილებლად ჰყავს მობილიზებული 13 პედაგოგი, რათა საათები გადანაწილდეს და, მაგალითად, პარალელურ ჯგუფებში ერთი და იგივე მოდული სხვადასხვა მასწავლებელმა წარმართოს. ამდენად, პედაგოგთა ჯამური დატვირთვა სრულად ჯდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ზღვარში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში (ს/კ: 248386624) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეთორმეტე საკითხი: სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაირა ბერიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 10 სექტემბრის No197214 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის, სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლაში, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით. მონიტორინგი განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე და მოიცავდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტისა და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შესრულების გადამოწმებას. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიმუშავა მონიტორინგის ვიზიტის დღის წესრიგი და განახორციელა ვიზიტი სსიპ ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის, სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლაში (მის.: ხელვაჩაური, სოფ. ქვედა სალიბაური მე-4, 1 ჩიხი N1). ვიზიტის ფარგლებში დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაცია, შესაბამისი მექანიზმები და დანერგილი პრაქტიკა, ასევე ჩატარდა გასაუბრებები დაწესებულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დოკუმენტაციის ანალიზისა და

ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა დასკვნა, რომელშიც ასახულია მონიტორინგის შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ: დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება; - **შესრულებულია.**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ხარვეზი არ დაფიქსირებულა
IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაციები არ გაცემულა
V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაციები არ გაცემულა

4. ადამიანური რესურსები
4.1 პერსონალისა და პროცესების მართვა
4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას
4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციული სტრუქტურა, პერსონალის შერჩევა და მართვის პროცესები სრულად მოწესრიგებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა“ და „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად, მკაფიოდ განისაზღვრა ძირითადი სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციების (მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროფესიული განათლების კოორდინატორის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, შესყიდვების სპეციალისტისა და რეესტრის წარმოების სპეციალისტის) ფუნქცია-მოვალეობები, უფლებამოსილებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ვინაიდან გასული წლის ვიზიტისას გამოვლენილი შეფასებით არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფდა ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიან წარმართვას, დაწესებულებამ შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის, შრომითი ხელშეკრულებებისა და მათში განხორციელებული ცვლილებების ანალიზით დადასტურდა შემდეგი:
სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია ორგანიზებულად და თანმიმდევრულად, რაც სრულად უწყობს ხელს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები შინაარსობრივად შეესაბამება სამუშაო აღწერილობებს, ხოლო პერსონალის კვალიფიკაცია, განათლება და გამოცდილება სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.
ხარისხის უზრუნველყოფა განსაზღვრულია როგორც დამოუკიდებელი და უწყვეტი პროცესი, რომელიც მოიცავს შიდა შეფასებას, მონიტორინგს, გამოკითხვების ინსტრუმენტების (სტუდენტთა და მასწავლებელთა) პრაქტიკულ გამოყენებას, შედეგების ანალიზსა და გაუმჯობესების დაგეგმვას. ხარისხის მართვის ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული სხვა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პასუხისმგებლობებისგან, რაც უზრუნველყოფს

პროცესების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სანდოობას და სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.
პერსონალის მართვის ციკლი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსსა და დაწესებულების შინაგანაწესს, რომლის გაცნობა და დადასტურება სავალდებულოა დასაქმებულთათვის. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა ითვალისწინებს რეგიონულ სპეციფიკასა და საკადრო საჭიროებათა წინასწარ დაგეგმვას, ხოლო შერჩევის პროცედურები (გასაუბრება, ტესტირება და სხვა) უზრუნველყოფს შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.
პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება თანასწორობის, სამართლიანობის, მონაწილეობითი მენეჯმენტისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. უზრუნველყოფილია შესრულებული სამუშაოს შეფასება, კონსტრუქციული უკუკავშირი და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, რაც ქმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ სამუშაო გარემოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგად დასტურდება, რომ ინდიკატორები **4.1. 1.1, 4.1.1.2, 4.1.1.3, 4.1.2.1, 4.1.2.2, 4.1.2.3 და 4.1.2.4 - დაკმაყოფილებულია**.

საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა.

2. საგანმანათლებლო პროგრამები
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი
2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ექსპერტთა შეფასებით, „ფოტოგრაფიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიმართულებით, წინა ვიზიტისას გამოვლენილი ხარვეზები დაწესებულებამ წარმატებით აღმოფხვრა და შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა შემდეგი:
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები, ტექნიკა და შესაბამისი სივრცეები (მათ შორის ხატვის მოდულისა და ორცვლიანი სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის) სრულად არის მობილიზებული და მორგებული სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე. რესურსების მართვა ხორციელდება სისტემური მექანიზმებით (მოთხოვნა, შესყიდვა, ინვენტარიზაცია).
თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია სულ მცირე ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და ჩანაცვლებადობას. პერსონალის კვალიფიკაცია, განათლება და გამოცდილება სრულად შეესაბამება დაწესებულების მოთხოვნებს.
დაწესებულებამ უზრუნველყო პერსონალის (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლების) გადამზადება სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის შიდა მექანიზმები.
პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და ბიბლიოთეკის ფონდში, შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფით (კომპიუტერები, პრინტერი/სკანერი).
დამტკიცებულია დებულება, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, მოდულების მოდიფიკაციისა და რესურსების ადაპტაციის პროცედურებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის.

შემუშავებულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო პლანების საპროგნოზო ბიუჯეტები (ვაუჩერული დაფინანსებისა და ხარჯების გათვალისწინებით), რაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგად დასტურდება, რომ ინდიკატორები **2.2. 1.1, 2.2.1.2, 2.2.1.3, 2.2.1.4, 2.2.1.5, 2.2.1.6 და 2.2.1.7 - დაკმაყოფილებულია**.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს ჰქონდათ კითხვები.

სხდომის მიმდინარეობისას საბჭოს თავმჯდომარემ ფოტოგრაფიის პროგრამის სპეციფიკური მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის შესახებ შეკითხვებით დარგის ექსპერტს, მიმართა და აღნიშნა, რომ დასკვნაში აქცენტი მხოლოდ ზოგად ინვენტარზე (მერხები, კომპიუტერები, სახატავი სივრცე) იყო გაკეთებული. მან იკითხა, კონკრეტულად რა სახის პროფესიული ფოტოტექნიკით, სტუდიური აღჭურვილობითა თუ პროგრამული უზრუნველყოფით იყო აღჭურვილი სასწავლო გარემო ორი 15-კაციანი ნაკადისთვის პრაქტიკული უნარების სრულფასოვნად გამომუშავების მიზნით.
დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ადგილზე შემოწმებისას მატერიალური ბაზა სრულად გამართული იყო. კერძოდ, თხუთმეტივე სტუდენტისთვის შეძენილია ინდივიდუალური ფოტოკამერები, შტატივები და განათების სისტემები, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელს დამატებით გააჩნია ცალკე გამოყოფილი აპარატურა; ფოტომასალის დასამუშავებლად კომპიუტერები აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით (მათ შორის, Adobe Photoshop-ით); ხოლო პედაგოგი წარმოადგენს თავისი საქმის მცოდნე, კვალიფიციურ სპეციალისტს.
ექსპერტმა დასძინა, რომ აღნიშნული ტექნიკური რესურსი ნამდვილად არსებობს ადგილზე და დასკვნაში მისი დეტალური ასახვის გამოტოვება შესაძლოა მექანიკურ უზუსტობას უკავშირდებოდეს.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა, ითვალისწინებს თუ არა სასწავლო კურიკულუმი ტრადიციულ, მატერიალურ ფოტოგრაფიას - ფირზე მუშაობას, ფოტოს გამჟღავნებასა და ბეჭდვას, თუ სწავლება სრულად თანამედროვე, ციფრულ ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული.
დარგის ექსპერტმა, განმარტა, რომ პროგრამა სრულად თანამედროვე, ციფრულ სტანდარტებზეა აგებული. ფირზე მუშაობა და ქიმიური გამჟღავნება-ბეჭდვის პროცესი თანამედროვე პრაქტიკაში მოძველებულია და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რის გამოც პროგრამა მას აღარ ითვალისწინებს; სასწავლო პროცესი წარიმართება თანამედროვე ციფრული კამერებით, გადაღებული კადრები პირდაპირ კომპიუტერში გადადის და მუშავდება გრაფიკულ რედაქტორებში.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულება სრულად არის აღჭურვილი იმ ტექნიკით, რასაც კონკრეტულად მოცემული ციფრული პროგრამის სტანდარტი მოითხოვს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში (ს/კ: 245428951) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეცამეტე საკითხი: სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაირა ბერიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 10 სექტემბრის No197244 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით. მონიტორინგი განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე და მოიცავდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტისა და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შესრულების გადამოწმებას. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიმუშავა მონიტორინგის ვიზიტის დღის წესრიგი და განახორციელა ვიზიტი სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში (მის.: ხელვაჩაურის

მუნიციპალიტეტი სოფ. თხილნარი). ვიზიტის ფარგლებში დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაცია, შესაბამისი მექანიზმები და დანერგილი პრაქტიკა, ასევე ჩატარდა გასაუბრებები დაწესებულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა დასკვნა, რომელშიც ასახულია მონიტორინგის შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:
დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება; - **შესრულებულია.**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ხარვეზი არ დაფიქსირებულა
IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაციები არ გაცემულა
V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაციები არ გაცემულა

4. ადამიანური რესურსები
4.1 პერსონალისა და პროცესების მართვა
4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას
4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციული სტრუქტურა, პერსონალის შერჩევა და მართვის პროცესები სრულად მოწესრიგებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა“ და „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად, მკაფიოდ განისაზღვრა ძირითადი სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები, უფლებამოსილებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შრომითი ხელშეკრულებებისა და პერსონალთან გასაუბრების ანალიზით დადასტურდა შემდეგი:
პსდ-ის სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სრულად უწყობს ხელს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზებულ და თანმიმდევრულ წარმართვას. შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები შინაარსობრივად შეესაბამება სამუშაო აღწერილობებს, ხოლო პერსონალის კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს დაკავებული თანამდებობების მოთხოვნებს.
ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფუნქციები დოკუმენტურად განსაზღვრულია და პასუხისმგებელ პირებზე ისეა განაწილებული, რომ უზრუნველყოფს პროცესების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და შიდა შეფასების მექანიზმების სანდოობას. ხარისხის მართვა წარმოადგენს დამოუკიდებელ და უწყვეტ პროცესს (რომელიც მოიცავს მონიტორინგს, გამოკითხვებსა და რეკომენდაციების შესრულების კონტროლს) და მკაფიოდ არის გამიჯნული სხვა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პასუხისმგებლობებისგან, რაც სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსს, შინაგანაწესსა და პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკას. შერჩევისა და დასაქმების პროცედურები უზრუნველყოფს ვაკანტური პოზიციებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, რეგიონული სპეციფიკისა და საკადრო საჭიროებების გათვალისწინებით.
პერსონალის მართვის პოლიტიკა და პრაქტიკა ეფუძნება თანამშრომელთა ჩართულობის, სამართლიანობის, თანასწორობისა და პროფესიული განვითარების პრინციპებს. გათვალისწინებულია შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის მონაწილეობა, უკუკავშირის მიწოდება და ღია კომუნიკაცია, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურისა და საქმიანობის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგად დასტურდება, რომ ინდიკატორები **4.1. 1.1, 4.1.1.2, 4.1.1.3, 4.1.2.1, 4.1.2.2, 4.1.2.3 და 4.1.2.4 - დაკმაყოფილებულია**.

2. საგანმანათლებლო პროგრამები
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი
2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ექსპერტთა შეფასებით, „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიმართულებით, წინა ვიზიტისას გამოვლენილი ხარვეზები დაწესებულებამ წარმატებით აღმოფხვრა და შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა შემდეგი:
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები, ტექნიკა და შესაბამისი სივრცეები (A, B და C გარემო, რომლებიც მოწყობილია ერთიან სივრცეში და მორგებულია 15 პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე ორცვლიანი სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის) სრულად არის მობილიზებული. რესურსების მართვა ხორციელდება სისტემური მექანიზმებით (მოთხოვნა, შესყიდვა, ინვენტარიზაცია).
თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია სულ მცირე ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და ჩანაცვლებადობას. პერსონალის კვალიფიკაცია, განათლება და გამოცდილება სრულად შეესაბამება დაწესებულების მოთხოვნებს.
დაწესებულებამ უზრუნველყო პერსონალის (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლების) გადამზადება სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის შიდა მექანიზმები.
პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და ბიბლიოთეკის ფონდში, შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფით (კომპიუტერები, პრინტერი/სკანერი).
დამტკიცებულია დებულება, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, მოდულების მოდიფიკაციისა და რესურსების ადაპტაციის პროცედურებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის.
შემუშავებულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმების საპროგნოზო ბიუჯეტები (ვაუჩერული დაფინანსებისა და ხარჯების გათვალისწინებით), რაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგად დასტურდება, რომ ინდიკატორები **2.2. 1.1, 2.2.1.2, 2.2.1.3, 2.2.1.4, 2.2.1.5, 2.2.1.6 და 2.2.1.7 - დაკმაყოფილებულია**.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში (ს/კ: 248417529) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეთოთხმეტე საკითხი: სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის No1197448 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 28 სექტემბერს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში (მისამართი: მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალხინო). ადმინისტრაციული წარმოების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის 4.1. პერსონალის და პროცესების მართვის მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ ფარგლებში. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე და ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, მათ შორის პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, ადაპტირებული მოდულები, ინტეგრირებული, ზოგადი და დარგობრივი მოდულები, ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმები, ასევე პროგრამის ბიუჯეტი და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ ფარგლებში ადგილზე დათვალიერდა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო და ფინანსური რესურსები. 4.1 კომპონენტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმები და არსებული პრაქტიკა. დამატებით შესწავლილ იქნა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პერსონალის მოზიდვისა და შერჩევა/დანიშვნის პროცედურები, სამუშაო აღწერილობები, პერსონალის პირადი საქმეები, შრომითი ხელშეკრულებები და შინაგანაწესი. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრებები ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა შეფასების პროცესი და დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო მონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალისა და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება და წარმართვა სრულად ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ ორგანიზაციულ

სტრუქტურასა და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-54 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, აგრეთვე „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული თითოეული პირის როლის, პასუხისმგებლობის სფეროებისა და უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნას.
მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შრომითი ხელშეკრულებების, პირადი საქმეებისა და პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების ანალიზით დადასტურდა შემდეგი:
სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციები გადანაწილებულია საქმიანობის შინაარსისა და კომპეტენციების მიხედვით (პროგრამის ადმინისტრირება, ხელმძღვანელობა, ხარისხის უზრუნველყოფა, რესურსებით უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესი). შრომითი ხელშეკრულებები და ინსტრუქციები ფორმალიზებულია, ხოლო დასაქმებულთა ხელმოწერები და გასაუბრებები ადასტურებს, რომ მათ სრულად აქვთ გაცნობიერებული და პრაქტიკულად იყენებენ თავიანთ მოვალეობებს.
ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს დამოუკიდებელ ფუნქციურ მიმართულებას, რომელიც მიმართულია პროცესების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესებისკენ. პასუხისმგებელი პირი არ ახორციელებს იმავე საქმიანობის უშუალო განხორციელებას, რომლის შეფასებაც მისი კომპეტენციაა, რაც სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.
პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება შრომის კოდექსის, შინაგანაწესისა და მართვის პოლიტიკის შესაბამისად. შერჩევისა და დასაქმების პროცედურები ემყარება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, ხოლო დასაქმებულთა კვალიფიკაცია და გამოცდილება სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.
დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ეს დასტურდება კომისიური მუშაობით (მაგ. აპლიკანტთა შერჩევისას), კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების ერთობლივი შემუშავებით, პერიოდული სამუშაო შეხვედრებითა და ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში არსებული მჭიდრო თანამშრომლობით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგად დასტურდება, რომ ინდიკატორები 4.1.1.1, 4.1.1.2, 4.1.1.3, 4.1.2.1, 4.1.2.2, 4.1.2.3 და 4.1.2.4 - დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამები
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი
2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ექსპერტთა შეფასებით, „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიმართულებით, წინა ვიზიტისას იდენტიფიცირებული საჭიროებები დაწესებულებამ სრულად დააკმაყოფილა. მონიტორინგის ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მატერიალური ბაზისა და პერსონალის პირადი საქმეების ანალიზით დადასტურდა შემდეგი:
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური ბაზა (აუდიტორიები, ტექნიკა და რესურსები) რეალურად არის მობილიზებული და თავისი დანიშნულებითა და რაოდენობრივი შესაძლებლობებით სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას 20 პროფესიულ სტუდენტზე.
პროგრამას ჰყავს საკმარისი რაოდენობის (სულ 16) კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი (როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ისე დარგობრივი მოდულებისთვის). მათი დატვირთვა და განაწილება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტ და მდგრად წარმართვას.

პერსონალს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია, გამოცდილება და გავლილი აქვთ სწავლა-სწავლებისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით საჭირო ტრენინგები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების ობიექტურობას.
პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად უშუალოდ არის ჩართული პროფესიული მოდულის განხორციელებაში, რაც აკავშირებს შინაარსობრივ მართვასა და პრაქტიკულ საქმიანობას.
პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა და რესურსები რეალურად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის ელექტრონული ან მატერიალური სახით და აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.
დამტკიცებული დებულება და შიდა მექანიზმები იძლევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის, რესურსების ადაპტაციისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სრულფასოვანი მხარდაჭერის საშუალებას.
წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და ფინანსური დაგეგმვა (რომლის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტით) სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგად დასტურდება, რომ ინდიკატორები **2.2.1.1, 2.2.1.2, 2.2.1.3, 2.2.1.4, 2.2.1.5, 2.2.1.6 და 2.2.1.7 - შესაბამისობაშია**.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა შეკითხვით, თუ რამდენად სრულყოფილად და ეფექტიანად იყო ინტეგრირებული პროფესიული განათლების მართვის რგოლი საგანმანათლებლო დაწესებულების ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურაში.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროფესიული განათლების მართვის ნაწილი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო რგოლისგან სრულად დამოუკიდებელ, ცალკე მიმართულებად არის გამოყოფილი. დაწესებულებაში შექმნილია შესყიდვების, კოორდინატორისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურული ერთეულები.
ამასთანავე, ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ ორგანოს და არ ექვემდებარება არცერთ სხვა სტრუქტურულ ერთეულს, ხოლო მართვის დანარჩენი რგოლები უშუალოდ სკოლის დირექტორის წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი.
ექსპერტის შეფასებით, მართვის ამგვარი განაწილება სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და არსებული ორგანიზაციული მოწყობა მოცემულ ეტაპზე სრულიად მისაღები, საკმარისი და ფუნქციურად გამართულია. რეგიონში პროგრამის მიმართ მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, სკოლა სამომავლოდ განიხილავს ცალკეული დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღებასაც, თუმცა მიმდინარე ეტაპზე რაიმე სახის რეკომენდაციის ან სტრუქტურული ცვლილების გაცემის საჭიროება არ გამოკვეთილა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში (ს/კ: 235444104) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:33 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია